

ა (ა) ი კ  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

14.02.2013 № 21

თ ბ ი ლ ი ს ი


სტუ-ში უცხოური ენების სწავლების  
გაუმჯობესებასთან დაკავშირებით

სტუ-ში უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესებისათვის კომპიუტერული პროგრამის „თელ  
მი მორ“ დანერგვის მიზნით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დაევალოს პროფესორ ნუგზარ სიხარულიძეს, ახალი სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით კოორდინაცია გაუწიოს სტუ-ში უცხოური ენების სწავლების პროცესს.
2. დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს, კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრთან (ზ.ცირამუა) ერთად უზრუნველყონ ბაკალავრიატის სტუდენტთა და უცხოური ენების შესწავლის მსურველ თანამშრომელთა ელექტრონული ფოსტის მისამართების მომზადება და საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურისათვის ([pr@gtu.ge](mailto:pr@gtu.ge)) გადაცემა.
3. დაევალოს სტუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებას (დ. ჩიქოვანი), შეათანხმოს პროფესორ დავით კაპანაძესთან კომპიუტერებით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრებისა და აუდიტორიების სია სამუშაო ადგილების მითითებით, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას უცხოური ენების კომპიუტერული სწავლებისათვის.
4. დაევალოს სწავლების დეპარტამენტს, ხელი შეუწყოს სტუ-ში უცხოური ენების კომპიუტერული სწავლების პროცესს.
5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი



ა. ფრანგიშვილი


ვიზები:

რექტორის მოადგილე

სასწავლო დარგში ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის

უფროსი ი. ლომიძე



იურიდიული დეპარტამენტის

უფროსი ბ. მანსურაძე